# ჩვენი გზა

№ 3

თფილისი

1907

ხუთშაბათი, 6 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Чвени Гза“.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

**დასაბეჭდათ** გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Чвени Гза“.

გაზეთ **„ჩვენი გზა“-ს** რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **Георгію Григорьевичу Бежіашвили.**

„ჩვენი გზის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ტრაგიკულ გარდაცვალებას სახელოვანი მგოსნის

ი ლ ი ა გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე

**ჭავჭავაძისას**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**თფილისის წვრილ-გაჭრთა პროფესიონალური საზოგადოების მთავარი კომიტეტი აცხადებს უღრმეს მწუხარებას დიდებულ მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის**

ი ლ ი ა გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ი ს

**ჭავჭავაძის**

ტრაგიკულათ გარდაცვალების გამო სთხოვს ვაჭრებს დაიხურონ ხუთშაბათს 6 ენკენისთვეს ჩუღურეთში წმ. ნიკოლოზის ტაძარში დილის 12 საათზე სადაც გადახდილი იქმნება პანაშვიდი გარდაცვლებული სულის მოსახსენებლათ.

დღეს, დილის 9 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, პანაშვიდის შემდეგ, დაკრძალულ იქნება გვამი

მ ა შ ო ს ა ლ ა რ ი ძ ი ს ა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა ქმარი გ. სალარიძე და ბიძა უკანასკნელისა ი. ზედგინიძე. (1—1)

შაბათს, 8 სექტემბერს, **ჟურნალ „შუა-შაბლის“** მაგივრათ გამოვა იუმორისტული ჟურნალი

**„შურდული“.**

ცალკე ნომერი ეღირება 6 კაპ.

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლე, საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 148, მახარაძის ბინა. (3—6—2).

ქალაქ თფილისში მცხოვრები კაცო გაბრიელის ასული **როზალია**

ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ 1 სექტემბრიდან მთავრობის ნებართვით გავხსენი სამ-კლასიანი პროფესიონალური ჭრა-კერვის ქალთა სკოლა, სადაც მოწაფეებს მიიღება სწავლამოვლენის ყოველ დღე. მსურველთ შეუძლიანთ პირადათ მოლაპარაკება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ადრესი: გოგოლევის ქუჩა, № 53. (4—ფ—1)


## საკადემიო წლის გახსნის გამო

I.

აი უკვე დადგა ახალი საკადემიო წელიწადი; დაიწყო სწავლა სხვა და სხვა ტიპის და კატეგორიის სასწავლებლებში; იმპერიის „მეცნიერების ტაძართა“ ბჭენი გახსნილი არის... მაგრამ რამდენისთვის არის ივი დახშული, და დახშული, შეიძლება ვიკითხოთ, სამუდამოთ?.. მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლის მთხოვნელთა რიცხვი ყოფილა წელს 4300 აქედან მიუღიათ მხოლოდ ორ ათასამდე; მთელ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთ კარი ჩაუკეტნია 12 ნახევარ ათას სწავლის მთხოვნელთათვის. ასეთივე ანუ უარესი სურათია სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებშიც. ათასობით და ათი ათასობით სწავლას მოწყურებულნი ახალგაზრდანი ამაოთ შესცქერიან სკოლის კედლებს; იმათთვის „ვაკანსია“, ადგილი აღარ არის. მაშ, სადღა წავიდენ?—თავშიც ქვა უხლიათ, საითაც უნდათ იქით წავიდენ. ეუბნებიან მათ ქვეყნის გამგენი. ეს დაუჯერებელი ამბავია თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოში; რუსეთში კი ჩვეულებრივი მოვლენაა და ასეც უნდა იყოს. რუსეთს, 150 მილიონ მცხოვრებთა სახელმწიფოს, მხოლოდ 9 (ცხრა) უნივერსიტეტი აპადია, მაშინ, როდესაც მაგ. გერმანიას, რომელიც ჯერ კიდევ შორს არის დემოკრატიულ წყობილებამდე, 60 მილიონ მცხოვრებზე უკვე 21 უნივერსიტეტი აქვს. უფრო დემოკრატიულ, პაწია ბელგიას, რომლის მცხოვრებთა რიცხვი შვიდ მილიონს აღწევს, მოეპოება ხუთი უნივერსიტეტი, ერთი სოციოლოგიური ინსტიტუტი და ერთიც აგრონომიული; ასე რომ თითქმის ერთი უმაღლესი სასწავლებელი ერთ მილიონ მცხოვრებზე.

აქ, რუსეთის ასეთ ჩამორჩენაში, სრულიად მოსატანი არ არის ხაზინის სიღარიბე. ეს რომ დამოუკიდებელი და შესაწყნარებელი მიზეზიც ყოფილიყო არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის მთავრობა ციხესა და საპყრობილეებზე უფრო მეტ ფულსა ხარჯავს, ვიდრე სკოლებზე; გარდა ამისა, მთავრობა ზოგჯერ უარს ამბობს სასწავლებლის გახსნაზე მაშინაც კი, როცა ფულიც ნაშოვნია და საქმისათვის თავ-დადებულნიც მზათ არიან ხოლმე. გაიხსენეთ თუნდ ის, რომ მალე ნახევარი საუკუნე იქნება, რაც ჩვენი საზოგადოება მთავრობას ეხვეწება-ემუდარება კავკასიისთვის ერთ უმაღლეს სასწავლებლის „რაზრეშენიეს“, მაგრამ დღევანდლამდე პასუხათ ესმის მხოლოდ „რუსული ატკაზი“. მთავრობა რომ ძალიან ნაკლებათ ფიქრობს ახალ უმაღლეს სკოლების გახსნაზე, ამას ნათლათ მოწმობს ის გარემოება, რომ მან წელს ვარშავაში უნივერსიტეტი გააუქმა და სხვაგან გადაიტანა. საბოლოოთ დახურა ლესტგაფტის ცნობილი უმაღლესი კურსები, რომელიც ყოველ წელს 2 ათას მოწაფეს იღებდა.

მეტის ლმობიერებით არ ეპყრობა მთავრობა თვით მასწავლებლებს და პროფესორთა კოლეგიას. გაიხსენეთ, რომ ცნობილი მილიუკოვი ბოლგარიაში დადიოდა, სამადლოთ ეშოვა საჭმე კათედრა; მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული, რუსეთის მეცნიერი მაქსიმ კოვალევსკი (პოლიტიკურ მიმართულებით მეტათ ზომიერი) დღევანდლამდე განდევნილ-გაძევებული იყო რუსეთის უნივერსიტეტიდან. მხოლოდ წელს მისცეს პროფესორობა პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და ისიც დიდის ვაივაგლახით. მინისტრმა ფილოსოფოვმა უარი სთქვა დაემტკიცებია პროფესორთა კოლეგიის გადაწყვეტილება კოვალევსკის მოწვევის შესახებ; ბოლოს მინისტრთა საბჭომ მცირე ხმის უმეტესობით გაბედა და დაადასტურა მისი მოწვევა.

უმაღლეს სასწავლებლიდან რამდენიც უფრო დაბლა ჩამოვალთ იმდენ უფრო უარეს პირობებს ვნახავთ. სულ დაბალ, სახალხო სკოლების სფეროში უკვე ერთობ ბნელი სურათი გადაგვეშლება. აქ მხოლოდ ვაკანსიის სიმცირეს კი არ ჩივიან, აქ პირდაპირ სკოლა აღარ არსებობს და ან არსებობს ისეთი, სადაც ბავშვს სტანჯავენ ფიზიკურათ, გონებრივათ და ზნეობრივათ. თუ საქმე ხდება „ინოროდცების“ მხარეში, რასაკვირველია, ასწავლიან გაუგებარ, უცხო ენაზე, რათა ამრიგათ მოღალონ, მოქანცონ და საბოლოოთ დაამახინჯონ ბავშვის ნორჩი გონება, რათა ბავშვს საბოლოოთ შეაჯავრონ სკოლაც, მასწავლებელიც და მისი წიგნიც. მასწავლებელი თუ ოდნავ მაინც გადასცდა ბიუროკრატიის მოხაზულებას, უეჭველია მას უმალვე ქუჩაში გამოისვრიან და უბრალო რამეზე ციხე-ციმბირსაც აჩვენებენ...

ყველა ზემო ნათქვამიდან გამოდის, რომ სწავლა განათლება დიდათ საზარალო და მავნებელი ყოფილა სახელმწიფოსათვის, მაგრამ ეს ხომ პარადოქსია და უაზრობაა! აკი სახელმწიფოს საჯარო-სახალხო განათლებისთვის მოეპოება ცალკე სამინისტრო და ბიუჯეტი, აკი განათლების საქმე სახელმწიფოს ერთ ძირითად საკითხათ არის აღიარებული. დიახ, მარა აქ მაინც არავითარი პარადოქსი და უაზრობა არ არის. საქმე ის არის, რომ სწავლა-განათლება, თუნდაც ოფიციალურ პროგრამის ფარგლებში—მართალია დიდათ საზარალო და მავნებელია ძველი სახელმწიფოსთვის ძველი რეჟიმისთვის. მართალია, ხალხის უმეცრება ერთის მხრით თვით ამ რეჟიმისთვის არ შეიძლება საზარალო არ ყოფილიყო.

ჩვენს დროში როგორიც უნდა იყოს რეჟიმი, ფული, და მასთან დიდი ფული, ყოველი მთავრობისათვის დიდათ საჭიროა, ხოლო ეგრეთ წოდებული „ეროვნული სიმდიდრე“ იმდენათ უფრო მცირეა, რამდენათაც ქვეყანა დაბლა დგას სწავლა-განათლების მხრივ. სტატისტიკურათ გამოკვლეული და დამტკიცებულია, რომ მუშაკის მარჯვენა იმდენათ უფრო ნაყოფიერი და ბარაქიანია, რამდენათაც მუშაკი შევნებული, გონება გახსნილი და პროფესიონალურათ განსწავლილია. ამ მხრივაც მთავრობა წინ ეღობებოდა ქვეყნის საწარმოვო ძალების განვითარებას; ბიუროკრატია ძირს სცემდა და შიმშილს უმზადებდა „მოხარკე წოდებას“, ვით თვითვე აშრობდა იმ წყაროს, რასაც იგი დასიცხულ კამეჩივით დაეწაფებოდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენათაც ხალხი დაბლა დგას სწავლა-განათლებით, იმდენი უფრო გვიან დება ხოლმე ქვეყნის საჭიროებათა დაკმაყოფილება, მარა როცა დრო მიდის, ქვეყნის საჭიროებანი, ხალხის კანონიერი მოთხოვნანი თავის განხორციელებას პოულობენ ხოლმე—თვით ქვეყნის ძველი მმართველებისთვის უფრო მწვავე, სასტიკ და „ბარბაროსულ“ პირობებში.

მაგრამ სამაგიეროთ, ბიუროკრატია თავისი პოლიტიკით დიდათ მოგებული რჩება მეორე მხრივ და ზემო აღნიშნული ზარალი ათასათ არის იმისთვის ანაზღაურებული. საქმე ის არის, რომ როგორიც უნდა იყოს სკოლა, რა ადმინისტრატიულ ხაფანგებითაც უნდა იყოს გარემოცული, არ შეიძლება ადრე თუ გვიან სკოლის საშუალებით ხალხი მაგ. არ შეეყაროს „კრამოლნიკ“ მასწავლებელს; როგორიც უნდა იყოს სკოლაში სწავლება, არ შეიძლება იქ მოპოებულ ან-ბანის ცოდნით ქვეშევრდომი არ მივიდეს „კრამოლნიკურ“ წიგნაკამდე და ასე ამ რიგათ, ადრე თუ გვიან, არ შეიძლება ფესვები არ გაიდგას ძველი რეჟიმის **საწინააღმდეგო** ცნობიერ მოქმედებამ. ეჭვს გარეშეა, რომ თუ ბიუროკრატია, რომელმაც ასე დიდის ხნით დღევანდელ მდგომარეობაში დაანარჩუნა მრავალ მილიონიანი ხალხი, თუ ამ ბიუროკრატიამ მოაღწია დღევანდლამდის, ეს არის მხოლოდ ხალხის სიბნელე-უმეცრების წყალობა....

## ახალი საარჩევნო ინსტრუქცია.

—

საზოგადოთ, ყველა კონსტიტუციონურ ქვეყანაში „ერთხელ და სამუდამოთ“ მუშავდება საარჩევნო ინსტრუქცია. მართალია, მოხდება რომ ინსტრუქციაში ესა თუ ის შესწორება შეაქვთ, მარა ეს შესწორება იმდენათ უმნიშვნელოა, რომ ლაპარაკათაც არა ღირს. ჩვენ „კონსტიტუციურ“ ქვეყანაში ასე არ ხდება. ჩვენი ბიუროკრატია „სიტუაციის“ მიხედვით აცხობს საარჩევნო ინსტრუქციებს. სულ ორი სახელმწიფო დუმა გვქონდა, მესამე ეხლა მზადდება და აი ჩვენც უკვე სამი ინსტრუქცია ხელთა გვაქვს. პირველი საარჩევნო ინსტრუქცია 1906 წ. 24 თებერვალს გამოვიდა, მეორე-10 დეკემბერს, მესამე-წარსული თვის 27-ში. ჩვეულებრივათ ინსტრუქციები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. განვიხილოთ უკანასკნელი ინსტრუქციის ზოგიერთი ახალი მუხლები.

პირველი დუმის არჩევნების დროს **საარჩევნო ბიულეტენებს სათანადო დაწესებულება ამზადებდა და ურიგებდა ყველა ამომრჩეველს.** მეორე დუმის წინ აღნიშნული წესი შეიცვალა: სათანადო დაწესებულება ბიულეტენებს **ორ ორ ცალს უგზავნიდა ამრჩევლებს და მთხოვნელებისამებრ (რამდენიც სურდათ) აძლევდა ლეგალურ პარტიებს.** პირველ და მეორე შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენები სათანადო დაწესებულებაში მზადდებოდა და ამომრჩევლებსაც ამ ბიულეტენებით უნდა ეხელმძღვანელათ. ამრიგათ, ლეგალური პარტიები (მემარჯვენეები) მათთვის ხელსაყრელ პირობებში ჩააყენეს. ბიუროკრატია აშკარათ ხელს უწყობდა მემარჯვენეებს, მათ **უადგილებდა აგიტაციას.**

როგორც ვიცით, ვერც ამ ხერხმა უშველა. ბიუროკრატიამ ეს უკვე გაიგო და აი კიდეც თავისი „ნაშრომი“ უკან წაიღო. 27 აგვისტოს ინსტრუქციამ ძირიან ფესვიანათ შეცვალა საქმის გარემოება. ახალი ინსტრუქციის მეთექვსმეტე მუხლის მეორე ნაწილში აი რას ვკითხულობთ: „ქალაქის გამგეობაზე და მის სამაგიერო დაწესებულებაზეა დამოკიდებული დაუგზავნის ამომრჩევლებს ბიულეტენების ფურცლს იმ სახით, რომელსაც ის საჭიროთ სცნობს. **ამომრჩევლებისათვის ასეთი ფურცლებათ სარგებლობა სავალდებულო არაა“.** შემდეგ ინსტრუქცია ხსნის, როგორი უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენი: „საარჩევნო ბიულეტენი უნდა წარმოადგენდეს **ჩვეულებრივი ფორმატის თეთრ საწერ ქაღალდის ან ერთს და ან ნახევარ ფურცელს** (იმის და მიხედვით, რამდენი კაცია ასარჩევი)“. (სტ. 7); „საარჩევნო ბიულეტენი **რუსულ ენაზე იწერება“** (სტ. 8). საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველს სურვილისამებრ შეუძლია **ხელით დაწეროს, დაბეჭდოს** და სხვა; ბიულეტენის დაწერა შეიძლება **სახლში,** შესაძლებელია მისი დაწერა **საარჩევნო კომისიის სადგომში;** ბიულეტენზე ამრჩევლის გვარი, სახელი და მამის სახელი უნდა დაიწეროს, ამასთან სავალდებულოა **ადრესის ან და ნომრის** (по списку) ჩვენება.

მაშ, ამ მხრით დღეს ყველა პარტიები ერთგვარ პირობებშია ჩაყენებული. სამწუხაროთ, ინსტრუქცია ეხება ამომრჩევლების მარტო ერთ ნაწილს და სავალდებულოა ქალაქების არჩევნებისათვის, იქ, სადაც **პირდაპირი არჩევნები არაა** (პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის, და რიგის) და სადაც **ამომრჩეველთა რიცხვი 500-ზე ნაკლები არაა.** გამოიცემა ასეთივე ინსტრუქცია დანარჩენ ამომრჩეველთათვისაც, თუ ძველ წესებს დატოვებენ? რა თქმა უნდა, აქაც ბიუროკრატია თავისებური მოსაზრებით იხელმძღვანელებს.

27 აგვისტოს ინსტრუქციამ ერთი ახალი წესი შემოიღო. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს კეცდა და შემდეგ საარჩევნო ყუთში ჩაუშვებდა ხოლმე; ახლა შემოღებულია **სავალდებულო კონვერტები.** ყოველი ამომრჩეველი იძულებულია ბიულეტენი კონვერტში ჩადვას, დახუროს და მერე ჩაუშვას ყუთში. ამგვარათ წესი **საიდუმლოების** დასაცველათ შემოღებული. ინსტრუქციის ძალით, კონვერტები **ერთნაირი** სათანადო დაწესებულებაში (ქალაქის და ერობის გამგეობაში და სხვა) მზადდება და შემდეგ ურიგდება ამომრჩევლებს (ეგზავნება ბინაზე, დანიშნულ დროს ეძლევა დანიშნულ ალაგას). „საარჩევნო ბიულეტენი კონვერტში ერთათ ერთი უნდა იდვას“ (სტ. 14). „კონვერტზე უსათუოთ დაწესებულების ბეჭედი უნდა იყოს დასმული; კონვერტზე არ უნდა იყოს არავითარი **შენიშვნები და ხაზები; გაფუჭებული ან გახეული კონვერტი არ მიიღება“.** (მეთუთხმეტე მუხლის შენიშვნა), თუ ამომრჩეველს კონვერტი დაეკარგა, მან ეს უნდა განაცხადოს გამგეობაში არჩევნების დღემდი და სახელობითი განცხადება (именное объявленіе) უნდა გამოიტანოს. მხოლოდ შემდეგ შეუძლია მას არჩევნების დღეს კონვერტი მიიღოს.

## პოლიტიკური მიმოხილვა.

—

მოახლოვდა საარჩევნო კამპანია და „უფროსებიც“ სამღვდელოების მზადებას შეუდგნენ. 3 ივნისის კანონით მღვდლე-

ბის საარჩევნო უფლება კარგა მოზდილია და სამღვდელო და საერო ბიუროკრატია ცდილობს **მღვდლების ხმების მოგებას**. კიევის კონსისტორია მოწყრილობას უგზავნის ბლაღოჩინებს, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ, ახლავე მოაწყონ მღვდლების სიეზდი საარჩევნო საკითხის გამოსარკვევათ.

მაგრამ ამგვარი აგიტაცია ბიუროკრატიას საკმაოთ არ მიაჩნია. ამისათვის ტვერის, სიმბირსკის, სარატოვის, ვიატკის ეპისკოპოსებმა ბლაღოჩინებს ცირკულიარი დაუგზავნეს, სადაც სამღვდელოებას ურჩევენ იკითხონ გულმოდგინეთ: „Колоколъ“-ი „Новое Время“, „Русское Знамя“, “Русская земля“, „Церковныя Вѣдомости“.

ბიუროკრატიამ ესეც არ იკმარა. ბლაღოჩინებმა ცირკულიარი დაუგზავნეს მღვდლებს, რომ იმათ რწმუნებულის ან ამრჩევლის ამორჩევის თანავე, აცნობონ არჩეულის ზნეობრივი მხარე და **პოლიტიკური რწმენა** კონსისტორიას.

# ახალი ამბები

**გასამართლება.** თფილისის სამოსამართლო პალატაში 3 სექტემბრიდან დაიწყო საქმის გარჩევა გორის ს. დ. ორგანიზაციის წევრებისა. ბრალდებულებათ არიან მიცემული: ა. კეცხოველი, მარია გულშამბაროვი, მ. მარტოვი, ი. ჩაჩანიძე, ნ. ოთარიძე, ა. კაკიევი, გ. ზანგურიძე, გ. ამირაგოვი, ზ. ჩარუევი, და ვ. მაჭუტაძე. მათ ბრალდებათ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ აშკარათ მოქმედება მთავრობის წინააღმდეგ არსებული წყობილების დასანგრევათ და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაარსებლათ. ბრალდებულთ იცავს ვექილი გრუზენბერგი. საქმე ირჩევა დახურულ კარებში. შეუძლიათ დასწრება მხოლოდ თითო ნათესავს ბრალდებულებისას. საქმის გარჩევა გასტანს 3—4 დღეს.

**ი. ჭავჭავაძის დაკრძალვისათვის.** 4 სექ. ნ. ნაკაშიძის თავმჯდომარეობით კრებამ ჰქონდათ ქართველ დედებს იმის შესახებ, თუ როგორ სცენ პატივი განსვენებულ ი. გ. ჭავჭავაძეს. კრებამ საერთო ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ი. ჭავჭავაძეს. შემდეგ დაადგინა: 1. ამორჩეულ იქნას დეპუტაციის წევრებათ სამი ქალი, რომელნიც თფილისიდან წამსვლელ დეპუტაციასთან ერთათ გაემგზავრებიან საგურამოში ცხედრის გამოსასვენებლათ; 2. შეამკონ ცოცხალი ყვავილებისაგან დამზადებული გვირგვინით განსვენებულის გვამი; 3. 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე გადახდილ იქნას ქართველ დედათა სახელით პანაშვიდი; 4. ქართველი ქალები სხვებთან ერთათ შეხვდენ მიცვალებულს ვერაზე ჯვართან და 5. ქართველ ქალთა სახელით ერთმა წარმოსთქვას სიტყვა დაკრძალვის დღეს.

**ჩამოხრჩობა.** 4 სექტემბერს თფილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში გენერალ რუტინსკის თავმჯდომარეობით გაირჩა პოლიტიკური საქმე ოხრანის განყოფილების მოხელის ლოლაძის დარაჯის მკვლელის ვლადიმირ გულაძისა, რომელსაც ბრალდებოდა ზემოხსენებული დარაჯის ალი-შაფი-ოღლის მოკვლა. ბრალს სდებდა სამხედრო პროკურორის თანაშემწე კაპიტანი პოზნიაკი. ვლადიმერ გულაძე დამნაშავეთ იცნო სასამართლომ და მიუსაჯა მას ჩამოხრჩობა.

**ქალაქის სამოსწავლო კომისიის დადგენილება.** გუშინწინ, 4 სექტემბერს მოხდა ჯრება ზემოხსენებულ კომისიისა. კომისიამ დაამტკიცა თავის მხრით მასწავლებლების თანამდებობაზე შემდეგი პირები: ა) ვერის ქალთა სკოლაში კარპინსკაია; ბ) რუსულ სკოლაში: კარუნჩიკი, ლევრანი და იშკაბიჩი; გ) ქართულ სკოლაში: რცხილაძე, ვარ. ამბროლაშვილი, ო. ფალავანდიშვილი, თ. ნასიძე და გ ჩუბილაძე. ოთხი კანდიდატის შესახებ სახელოსნო სკოლისათვის კომისიის შემდეგ ექნება მსჯელობა.

**სტატისტიკა.** 1907 წ. 1-ლი იანვრიდან 1-ლ სექტემბრამდი ქალაქის თვითმ რთველობას ჰქონია შემოსავალი სულ: 235,794 მან. 61 კ. შარშან წელს ამავე ხნის განმავლობაში შემოსავალი ყოფილა 228,120 მან.

**სტატისტიკა.** როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს ავჭალის რეზერვუარიდან ცძლევა ქალაქს წყალი 850,000 ვედრა, თუმცა ქალაქი ერთ მილიონზე მეტს თხოულობს. როგორც გამოცვეს მიზეზი წყლის ნაკლებულობისა უკანასკნელ დღეებში უმთავრესათ ის არის, რომ წყლის მომცემი მაშინა „კოკლი“ მოშლილი ყოფილა და არ მუშაობდა.

**გაფიცვა გორში.** ეს მესამე კვირა მიდის რაც ბ. ხარიტონის სამი ნოქარი გაფიცულები არიან. გაფიცვის მიზეზი თვით ხაზეინი ყოფილა, მას მოუნდომებია იმ უფლებების წართმევა, რომელიც ნოქრებს აქვთ მოპოვებული. ცხადია, ნოქრები არ დამორჩილებიან და მიუმართავთ გაფიცვისათვის. თუ რომ ესენი არ იქნენ დაკმაყოფილებული, შესაძლებელია გაფიცვა მთელ გორის ნოქრებს მოედვას.

**თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი:** 1) თფილისის ტრამვაის კონდუქტორს ივ. ჩიტაშვილს და ვატმან მიშკინს სავალდებულო დადგენილების აუსრულებლობისათვის გადაეწყვეტა ციხეში დაპატიმრება თითო თვით. 2) დუშეთის მაზრის ს. ცლაშეს მცხოვრებს ივ. კახტაშვილს როგორც მავნე პირს აეკრძალა თფილისის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე. 3) სახლის პატრონი, არტილერიის ქუჩა № 5, ანასტასია წერეთელი სავალდებულო დადგენილების აუსრულებლობისათვის დაჯარიმდა 25 მანეთით. 4) ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოში მოსამსახურენი: სერდიონ ლოგუა, ნიკ. პრუტი, ის. ნოროშტეინი და კონსტ. მატვეევი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირები იგზავნებიან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე. 5) ოლგინის ქუჩაზე სამა. კოპერიძის ლუდხანა პოლიციის კანონიერ მოთხოვნების აუსრულებლობისათვის დაიკეტა სამხედრო წესების მოხსნამდე. 6) დუქნის პატრონი, მეხუთე საპ. ნაწ., კარაპეტ ოსკანოვი პოლიციის კანონიერ მოთხოვნების აუსრულებლობისათვის დაჯარიმდა 50 მანეთით. 7) თფილ. მცხოვრები პეტრე ბარბაძე როგორც მავნე პირი საზოგადოებისა, დატყვევებულ იქნა ციხეში 1 თვით, შემდეგ იგზავნება თფილ. გუბერ. სამხედრო წესების მოხსნამდე. 8) თფილ. მცხოვრები ივ. თამაროვი (იგივე თამარიანცი), როგორც მავნე პირი საზოგადოებისა, იგზავნება პერმის გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდე.

**თფილისის წვრილ ვაჭართა პროფკავშ. საზოგადოების მთავარ კომიტეტის დადგენა:** 1) 6 ენკენისთვეს შუა დღის 12 საათზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნას პანაშვიდი სახელოვანი მგოსნის და მოქალაქის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ. 2) ეთხოვოს ვაჭრებს, რომ ბარასკევს, 7 ენკენისთვეს ნაშუადღევის ორ საათზე დახურონ ვაჭრობა, ჯვართან იდგნენ ცხედარს, რომელსაც საზოგადოების სახელით გვირგვინით შეამკობენ და გააცილებენ სიონის ტაძრამდე. 3) ეთხოვოს ვაჭრებს, კვირას 9 ენკენისთვეს დესწრონ სიონის ტაძარში ანდერძის აგებას და გააცილონ ცხედარი მამა დავითის ეკლესიამდე, და 4) რომელ ქუჩაზედაც სამგლოვიარო პროცესია გაივლის, იმ ქუჩის ვაჭრებმა თავისი სავაჭროების კარები მიხურონ, მიცვალებულის პატივსაცემლათ.

თფილ. წვრილ-ვაჭართა პროფ. საზოგადოების მთავარი კომიტეტი.

**დატუსაღება.** 4 სექტემბერს ღამის 12 ს. დაუტყვევებია პოლიციას ბაგრატ ხუბაროვი და ივანე რამაზაშვილი. მათ აღმოაჩნდათ თითო რევოლვერი, მასთან არ აღმოაჩნდათ ნებართვა იარაღის ტარებისა. შეპყრობილნი საკომენდანტოში გაუგზავრებიათ.

**ქურდობა,** 4 სექტემბერს ევგენია ლილოვის სახლიდგან ტატიანოვის ქუჩაზე № 9. მოსამსახურე ნიკო ქობულიას მოუპარავს ოქროს საათი ღირებული 220 მან. ქობულია დაუტუსაღებიათ.

**შეპყრობა.** როგორც გურნაბათიდგან გვატყობინებენ, იქ შეუპყრიათ და ჩამოუყვანიათ ქალაქში ცნობილი კატორღელი ციმბირიდგან გამოქცეული გაბო. ის დაჭრილია სამი ტყვიით.

**თავდასხმა.** 4 სექტემბერს საღამოს 9 ს. ტიფლი რიგზე № 22 ოთხი შეიარაღებულ-მძარცველები შეცვივნულან კუკუჯ-ნოვის მემკვიდრეთა მაღაზიაში. მუქარით კასიდგან გაუტაცნიათ 1934 მან. და მიმალულან.

4 სექტემბერს დილის 6 ს. სომხის ბაზარში, აკიმოვის ქუჩაზე № 10, თავისივე სარდაფში უცნობებს მოუკლავთ ნავთის გამყიდველი სპარსეთის ქვეშევრდომი ნიშამ ხაჩატურიანცი. პოლიციას აღმოუჩენია მისი მკვლელები: მარკარა გრიქორიანცი, სალმას ვაკილი და აკოფ აკოფოვი. შეპყრობილთ თან აღმოუჩინეს 370 მან. გატაცებული მოკლულ ხაჩატურიანცისაგან.

**შეპყრობა.** 4 სექტემბერს პოლიციას შეუპყრია დარისპან ვაცაძე, რომელმაც 31 აგვისტოს დასჭრა ნაძალადევში ანტონ ერაძე.

## პარტიების ცხოვრებიდან

—

**კრაკოვში მოხდა ლიტვის სოც-დემოკრატიის სიეზდი,** რომელმაც 10 დღეს გასტანა. გადაწყდა დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რომლის დროსაც წამოყენებულ უნდა იქნას მოთხოვნა, მიეცეს ლიტვას ავტონომია სეიმით ვილნოში, რომელიც არჩეულ უნდა იქნას საყოველთაო სხვ. კენჭის ყრით.

**მთავრობის პარტია.** პოლონეთში ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა ესიპოვმა დააარსა ახალი პარტია, რომელსაც „მთავრობის პარტია“ უწოდა. პარტიამ უკვე დაიწყო საარჩევნო აგიტაცია უმთავრესათ ჩინოვნიკებს შორის, თავის მოწოდებაში ამრჩეველთა მიმართ პარტია აღნიშნავს, რომ ყველა კონსტიტუციონურ სახელმწიფოში არსებობს მთავრობის პარტია, რომელზედაც მთავრობას შეუძლია დაეყრდნოს. ასეთ პარტიების საჭიროება განსაკუთრებით საგრძნობელია განაპირა ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი ამხედრებული არიან მთავრობის წინააღმდეგ და სადაც მთავრობას ესაჭიროება დახმარება საზოგადოების მხრივ საზოგადო სახელმწიფო ინტერესების დასაცველათ.

მოხდა **უკრაინის ს.-დ. პარტიის კონფერენცია,** რომელიც შესდგებოდა კანევის და ზვენიგოროდის მაზრების წარმომადგენლებისაგან. კონფერენციამ გამოთქვა იმედი, რომ ვოლოსტებიდან მემარცხენე ელემენტები გავლენა და გადაწყვეტს ყურადღება მიაქციონ წვრილ მემამულეთა კურიას. კონფერენციამ გადაჭრით დაგმო ბრძოლის ანარქიული წესები,—ექსპროპრიაციები, პომეშჩიკების დაწვა და მთავრობის მოხელეთა ხოცვა. სპილკის მთავარმა კომიტეტმა ცირკულიარი დაგზავნა, რომლითაც წინადადებას აძლევს ორგანიზაციებს პარტიული კანდიდატები წამოაყენონ მუშების და ვოლოსტების რწმუნებულთა არჩევნების დროს.

**კადეტების კანდიდატები პეტერბურგში.** „სახალხო თავისუფლების პარტიის“ ცენტრ. კომიტეტს შეუდგენია თავისი კანდიდატების სია პეტერბურგის კოლომენის რაიონისათვის. ეს კანდიდატები არიან: მილიუკოვი, როდიჩევი, კუტლერი, ი. გესენი, ერვინი, გრიმი, კოლიუბაკინი, დოლგოროუკოვი და პროფ. ზერნოვი. ამ სიას წინდაწინ კენჭს უყრიან, რამდენიც მონაწილეობას მიიღებენ პარტიის ყველა ადგილობრივი (რაიონის) წევრები და ის კანდიდატები, რომლებიც მეტ ხმას მიიღებენ, წარედგინება დასამტკიცებლათ ქალაქის კომიტეტს, და შემდეგ კანდიდატების საერთო სიას კენჭს უყრიან პეტერბურგის ყველა წევრები.

**„შავრაზმელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“** მოსკოვის სავაჭრო სახლში მოხდა ყველა მონარქიულ ორგანიზაციების კრება—დაესწრო ათასამდე კაცი. გრინგმუტმა მოახსენა საზოგადოებას „სასიხარულო ამბავი“: საფრანგეთის მონარქიულმა ლიგამ დეპეშა გამოგვიგზავნა რუსეთის ყველა მონარქიულ ორგანიზაციებსო. ამნაირათო, თქვა გრინგმუტმა, ამიერიდან რუსეთის მონარქისტები შედიან საერთაშორისო მონარქისტო ოჯახში, და დაუმატა, სამხედრო... როცა სოციალისტებს კი არა, ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ მოვიწოდოთ: „შავრაზმელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“!

**მშვიდობიან განახლების ცენტრ.-კომიტეტმა** ადგილობრივ კომიტეტების დელეგატებთან ერთათ შემდეგი აზრი შეიმუშავა: გაძლიერებული რეაქცია როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების მხრივ ჰქმნის დიდ საფრთხეს კონსტიტუციონურ წყობილებისათვის, მით უმეტეს, რომ კონსტიტუციონურ საფუძვლების დარღვევას, საზოგადოებრივი გულგრილობის მეოხებით, წინ არ უდგას არავითარი წინააღმდეგობა. 3 ივნისის საარჩევნო კანონი აძლიერებს ამ საფრთხეს კლასობრივი და ეროვნული განხეთქილების გამწვავებით, რაც ახალ დაბრკოლებას უყენებს წინ სამშობლოს მშვიდობიან განახლებას. ყოველივე ამის მიხედვით პარტიის ვალია: 1) დაიცვას კონსტიტუცია და მშვიდობიანი გზით განახორციელოს 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძვლები; 2) ეს შეადგენს აგრეთვე მოვალეობას სახალხო თავისუფლების პარტიისას და 17 ოქტ. კავშირისას; 3) ტაქტიკის შესაჩნევი ერთნაირობა ვალდებულს ხდის ცენტრის პარტიებს მომავალ არჩევნების დროს არ გაამწვავონ ერთმანეთ შორის დამოკიდებულება; 4) ხსენებულ პარტიებს შორის საზოგადო საარჩევნო შეთანხმების განუხორციელებლობის გამო, ვალდებული არიან ეს პარტიები გულწრფელი კონსტიტუციონალისტების გასაყვანათ მაინც შეთანხმდენ, მიუხედავათ იმისა თუ რომელ პარტიას ეკუთვნიან ეს უკანასკნელნი, და ამასთან ეს პარტიები მკაცრათ უნდა განცალკევდენ როგორც რევოლიუციონურ, ისე ანტიკონსტიტუციონურ პარტიებისაგან. მხოლოდ ამ საშუალებით შესაძლებელი შეიქნება შესდგეს დუმაში ძლიერი და მომუშავე ცენტრი.

**რუსის ხალხის კავშირის მთავარმა საბჭომ** შემდეგი შუამდგომლობა აღძრა: იმ სასულიერო პირთა დანაშაულის განხილვა და დასჯა, რომლებიც თავისი მოქმედებით სახ. დუმაში არცხვენენ სამღვდელოებას და აცდუნებენ მართლმადიდებელთ, უნდა ხდებოდეს სწრაფათ და უგულმართოთ; ადგილი არ უნდა ქონდეთ საქმის ფორმალურ გაჭიანურებას, არ უნდა უცდიდენ დუმის რწმუნებათა დასრულებას და მღვდელ დეპუტატების შესახებ არ უნდა იქნეს გამოყენებული კანონი დუმის წევრთა ხელშეუხებლობის შესახებ, ვინაიდან მღვდლები, როგორც ამას სალი ქრისტიანული სინდისი მოწმობს, არავითარი დუმის წესებით არ თავისუფლდებიან ქრისტიანულ ზნეობის

## კომუნალური მუშათა პოლიტიკა.

### შრომის ბირჟა.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, კომუნალურ თვითმართველობის დიადი მნიშვნელობა შრომის ბირჟისთვის კიდევ იმაში გამოიხატება, რომ იგი უმუშევრათ დარჩენილებისათვის ადგილის შოვნის შუამავლობას ინტერლოკალურათ აწყობს. ფაქტიურათ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ კომუნალურ მოქმედების ფეხისზე. რამდენათაც ინტერლოკალური შუამავლობა ინტენსიურია, იმდენათ მეტათ საჭიროა, რომ კომუნალური თვითმართველობა დიდს და ბევრ საზოგადოებას შეიცავდეს, მისი კომუნალური მოქმედება ფართე ნიადაგზე ხდებოდეს. ამას ნათლათ და უტყუარათ ამტკიცებს ბადენის, ბავარიის და ვიურტენბერგის ცენტრალისტურათ მოწყობილი შრომის ბირჟები. მთელ ბადენის სამეფოში თორმეტი კომუნალური შრომის ბირჟის დაწესებულებაა, რომლებიც ერთი-მეორესთან მჭიდროთ და პირდაპირ შეკავშირებულნი არიან. ესენი ერთი-მეორეს, მუდამ ცნობებს აწვდიან შრომის ბაზრის მდგომარეობაზე, შრომის მოთხოვნა-მოწოდებაზე; გარდა ამისა, მეზობელი ანუ ახლო შრომის ბირჟის დაწესებულებები ერთი-მეორეს ეხმარება, როგორც ნივთიერათ, ისე ზნეობრივათ. ის საზოგადოება, რომელიც მოკლებულია შრომის ბირჟის დაწესებულებას, არაა მოვალე ზევით დასახელებულ კომუნალურ თვითმართველობებს უმუშევრათ დარჩენილებზე რამე ცნობები მიაწოდოს, რამე დახმარება გაუწიოს. ვიურტენბერგის სამეფოში არსებობს რამდენსამე ალაგას სხვადასხვა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში კომუნალური შრომის ბირჟის დაწესებულებები, თავიანთ სპეციალურ გამგე-მოხელებით. გამგე-მოხელეები კვირაში სამჯერ ადგენენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენათ ვერ დაკმაყოფილდა მათ რაიონში მოთხოვნილება შრომაზე და გზავნიან შტუტგარტის შრომის ბირჟის დაწესებულებაში, რომელიც თავის მხრივ ცენტრალურ დაწესებულების ფუნქციას ასრულებს. უკანასკნელს კი ეს ცნობები გადააქვს საერთო ფურცელზე, ბეჭდავს ათასობით და უგზავნის ყველა საზოგადოებებს და პატარა სამაზრო დაწესებულებებსაც კი სადაც საჭიროა ამგვარი ცნობები. ეს საზოგადოებებიც საჯაროთ გამოკიდებენ ხოლმე ცენტრალურ დაწესებულებიდან გამოგზავნილ ფურცლებს და მით საშუალებას აძლევენ, როგორც შრომის მყიდველს, ისე შრომის გამყიდველს, თავიანთი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ. იქ, სადაც არ არსებობს შრომის ბირჟის დაწესებულება, შტუტგარტის ცენტრალური ბიურო უგზავნის საზოგადოების უფროსებს საკმარის რიცხვს დამზადებულ განცხადების ფურცლებისას, რომლებსაც საზოგადოების უფროსები უსასყიდლოთ ურიგებენ მუშებს და კაპიტალისტებს და რომელშიაც მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მუშა ხელია ბაზარზე და რამდენი სამუშაო. ერთი სიტყვით, კომუნალურ თვითმართველობას და მის მოხელეებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ შრომის ბირჟის ცენტრალურათ მოწყობას. ამ მხრივ ბავარია უფრო შორს წავიდა, იქ რვა კომუნალური შრომის ბირჟები (მიუნხენის, შტრაუბინგის, კეიზერსლაუტენის, ბამბერგის, ნიურნბერგის ვიურცბურგის, რეგენსბურგის და აუგსბურგის) ცენტრალურ ფუნქციებს ასრულებენ ამდენივე სამაზრო შრომის ბირჟებისათვის, ცენტრალურ შრომის ბირჟების დანიშნულება მიზანია, ყველა განცხადებებზე მუშებს და დამქირავებლებს, რამდენათაც შესაძლოა, ვრცელი წერილობითი პასუხი მისცეს. ის შრომის მყიდველები კაპიტალისტ-ფაბრიკანტები, რომლებიც ისეთ ალაგას ცხოვრობენ, სადაც არ არსებობს შრომის ბირჟის განყოფილება, ან პირდაპირ უახლოეს შრომის ბირჟის დაწესებულებას მიმართავენ საჭირო სამუშაო ხელის საშოვნელათ, ან და თავიანთ მაზრის ცენტრალურ შრომის ბირჟის ბიუროს ეკითხებიან შრომის ბაზრის მდგომარეობაზე. უმუშევრათ დარჩენილებისთვის ადგილის შოვნის შუამავლობა კი, სულ სხვა რიგათ ხდება: უმუშევრათ დარჩენილი მუშა თავისუფალ ალაგის შოვნას ადგილობრივ საზოგადოების მოხელეთა საშუალებით ეძებს. ამ საზოგადოების მოხელენი უმუშევრათ დარჩენილს ხელში აძლევენ დამზადებულ განცხადების ფორმულიარს, ის სწერს შიგ თავის პროფესიას, და უგზავნის ან მახლობელ სამაზრო შრომის ბირჟის დაწესებულებას ანუ განყოფილებას, ან და ცენტრალურ ბიუროს. შრომის ბირჟის ცენტრალური ბიურო, თავის მხრივ, ყველა ამგვარ ცნობებს—უგზავნის საზოგადოებებს და ყველა ადგილებში, სადაც კი მცხოვრებთა რიცხვი სამი ათას აღემატება მხოლოდ სამუშაოს შუამავლობა პატარა საზოგადოებაში არ საჭიროებს არავითარ განსაკუთრებულ ორგანოს, ვინაიდან შრომის ბაზრის მდგომარეობა, მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთობა, ისე მარტივი და შესამჩნევია, რომ ყოველ დაცლილ ანუ განთავისუფლებულ ალაგს თითოეული მცხოვრები უკეთ იგებს,—ვიდრე რომელიმე საზოგადო დაწესებულება. ვთქვათ რომელსამე პატარა საზოგადოებაში, უმუშევრათ დარჩენილმა პროლეტარმა ვერ იშოვა სამუშაო, საზოგადოებამ თავის უმუშევრათ დარჩენილ წევრს ვერ მოუძებნა პროფესიის შესაფერი ალაგი, მაშინ თვითონ საზოგადოების წარმომადგენელი ანუ მოხელე, როგორც წევრი ინტერლოკალურ ორგანიზაციისა, იწყებს თავის შუამავლობას: იგი გზავნის თხოვნას სამაზრო ანუ ცენტრალურ შრომის ბირჟის დაწესებულებაში.

საზოგადოების დიდი მნიშვნელობა შრომის ბირჟისთვის ყველასაგან აღიარებულია. მართლაც და განა სხვა რომელ ორგანიზაციას ან დაწესებულებას შეუძლია საზოგადოებაზე უკეთ მოაწყოს სხვადასხვა ცნობების მიღების საქმე? მხოლოდ ერთად-ერთი კომუნალური ორგანიზაცია შესაძლებლათ ხდის შრომის შუამავლობა საზოგადოებრივ-უფლებრივ საფუძველზე დაამყაროს და ყველა პატარა საზოგადოებებშიაც გაავრცელოს. სწორეთ ამაში მდგომარეობს მთელი ღირსება შრომის შუამავლობის ორგანიზაციის. არ კმარა მარტო დიდ ქალაქებში და მსხვილ ინდუსტრიალურ ცენტრებში არსებობდეს შრომის ბირჟის ბიუროები. სწორეთ პატარა საზოგადოებებში უნდა არსებობდეს ისეთი დაწესებულება, რომ სამუშაოზე უთანასწორო მოთხოვნა-მიწოდება გააერთიანოს. უწინარეს ყოვლისა ამას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ უმუშევრათ დარჩენილ მუშისათვის იქვე ცდილობენ ადგილის შოვნას, სადაც იგი სცხოვრობს. მუშები სამუშაოს შუამავლობის უქონლობის გამო იძულებული არ არიან დიდ ქალაქებში გადაიხვეწონ, სადაც თავიანთი ჩასვლით ისეც რიცხვით-მრავალი რეზერვისტებს ერთი-ორათ გაამრავლებენ. ცხადია, შრომის ბირჟის მოქმედება იმდენათ უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო იგი კომუნალურათ მოწყობილია, რაც უფრო მას შრომის საშუამავლო განყოფილებას სხვა და სხვა პატარა ალაგებში აქვს გამართული და რაც უფრო ეს უკანასკნელნი ცენტრალისტურათ არიან შეკავშირებული მთავარ შრომის ბირჟა-

სამსჯავროსაგან, მოძღვრის მოვალეობისაგან და საეკლესიო კანონებისაგან. ამასთან დაუყოვნებლივ უნდა გასამართლებულ იქნან ის სასულიერო პირნი, რომლებიც ნებას მისცემენ თავის თავს აშკარათ ან ჩუმათ ხელი შეუშალონ საღ მიმართულებას რუსის ხალხის კავშირის საფუძვლებზე დაყარებულ აზრებისას.

**გენერალ-გუბერნატორათ ნამყოფი კადეტების კანდიდატი.** კადეტთა პარტიის წინადადების თანახმათ, თურქესტანის გენერალ-გუბერნატორათ ნამყოფი სუბოტიჩი დათანხმდა წამოაყენოს კადეტების მხრივ თავისი კანდიდატურა დუმის დეპუტატობაზე ქალაქის პირველ კურიაში.

**რ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალურ ორგანოს** დრ. მთავარ რედაქტორათ დაუნიშნავთ ლენინი. მენშევიკებს გადაჭრით უარი უთქვამთ რედაქციაში მონაწილეობის მიღებაზე. ბოლშევიკთა ერთი ლიდერის წინადადება მოწვეულ იქნას რედაქციაში პლეხანოვი—მიღებულ იქნა დიდი უმრავლესობის მიერ.

**მოლაპარაკება პარტიებს შორის საარჩევნო შეთანხმების შესახებ** უკვე დაიწყო პეტერბურგში. შრომის ჯგუფის მოლაპარაკებამ ს.-რ.-ებთან ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ს.-რების ორგანიზაციამ განაცხადა პარტიის საბჭოს სიეზდის გადაწყვეტილების თანახმათ, ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებთო. მოლაპარაკება შრომის ჯგუფსა და სახალხო სოციალისტებს შორის მარჯვეთ მიდის, სოც.-დემ. ორგანიზაციამ უარყო შრომის ჯგუფის წინადადება, რადგან, კონფერენციის დადგენილებით პირველ არჩევნებში ს.-დ. გამოდის დამოუკიდებლათ და სხვა პარტიებთან შეუთანხმებლათ. მომავალ არჩევნებში, საერთოთ გამოვლენ: შრომის ჯგუფი, სახალხო სოციალისტები და უპარტიო პროგრესიულ ამრჩეველთა ჯგუფი, რომლებიც ახლო მომავალში საინფორმაციო ბიუროს შეადგენენ („რას“).

**რ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას,** რომელიც ამ დღეებში დაარსა პარტიის ცენტრ. კომიტეტმა, დავალებული აქვს საგიტაციო ფურცლების გამოცემა, აგიტატორთა ჯგუფის ორგანიზაცია ადგილებზევე გასაგზავნათ, უფასო იურიდიულ დახმარების მოწყობა არჩევნების საქმეში. იმავე კომისიას დავალა ამრჩეველთა ფართე მასის გასაცნობათ მეორე დუმის ს. დ. ფრაქციის მოქმედებასთან გამოსცეს ს. დ. დეპუტატების ყველა სიტყვები ცალკე ბროშურათ.

## ბათუმის ქრონიკა

**ბათუმი.** წყლის გამყვან მილებზე მუშაობა ბათუმში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. შუა-ქუჩაში გამოუვანილი თხრილები და და თხრილების ნაპირებზე დაზვავებული ხრეში მისვლა-მოსვლას აფერხებს ქუჩებში. მილებზე უმეტესათ უმუშევრად დარჩენილი მუშები მუშაობენ. მათი ჯამაგირი 1 მ. 50 კ. და არა ნაკლებ 1 მ. დღეში. მუშაობა, როგორც სჩანს, კარგა ხანს გასტანს. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ უმუშევართა რიცხვი ბათუმში დღითი დღე მატულობს. მუშების ერთმა ნაწილმა მურღულს მიაშურა, (40 ვერსის მანძილზე აქვს ბათუმს) სადაც სპილენძის სადნობი ქარხნებია აგებული, მაგრამ ვერც იქ შოულობენ სამუშაოს და ხელ-ცარიელი უკანვე ბრუნდებიან. ხმა დადის, ამ მოკლე დროში, მურღულის მადნებში ფართო წარმოება დადგებაო. მუშებიც ამის მოლოდინშია.

— 15 ამ თვეს, ქ. ბათუმში, თფილისის სასამართლო პალატა, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, გაარჩევს საქმეს გაზ. „Стрѣла“-ს რედაქტორ-გამომცემლის ბ. გელაზანიასა, რომელსაც კან. 2 მ. 129 სტ. ძალით ასამართლებენ. დამნაშავეს დაიცავს ნაფიც ვექილის თანაშემწე ვლადიმერ გრიგოლის ძე რუტკოვსკი.

— 29 აგვისტოს, ქ. ბათუმში, პეტერბურგის სასტუმროს მახლობლათ, ვიღაც უცნობებმა სროლა აუტეხეს სოფ. ბახვის მცხოვრებს მელქისედეკ მახარაძეს. მახარაძემ ერთი მსროლელთაგანი ფეხ-დაფეხ დადევნებით დაიჭირა და გვარიანათაც მიბეგვა, მაგრამ ამ დროს მეორე მსროლელმა მახარაძე ზურგიდან ტყვიით დაჰჭრა. ერთი მსროლელთაგანი პოლიციამ დააპატიმრა. დაჭრილი საავათმყოფოში წაიყვანეს. ჭრილობა მსუბუქი აღმოაჩნდა. შემთხვევა კერძო პირადი ინტერესებით ყოფილა გამოწვეული. მეორე დღესვე, პეტერბურგის ქუჩაზე, საღამოს, სასიკვდილოთ დასჭრეს ვაჭარი გოზალოვი. ეს მკვლელობაც, როგორც ამბობენ, კერძო ინტერესებით ყოფილა გამოწვეული.

— აქაურ ყველა სასწავლებლებში მოსწავლეთა მისაღები გამოცდა დამთავრდა და სწავლა დაიწყეს. სავაჭრო-გიმნაზიის მოსამზადებელ და პირველ კლასებში წელს სულ 150 მთხოვნელი ყოფილა. ამათ შორის მოსამზადებელ კლასში მიუღიათ მხოლოდ 32 და პირველ კლასში—38 მოსწავლე, ასე რომ უადგილობის გამო სასწავლებლის გარეშე დარჩენილა სულ 80-ზე მეტი მოსწავლე. ებრაელ მოსწავლეებს საზოგადოთ პროცენტებით ღებულობენ. წელს მთხოვნელი ყოფილა—8; მიუღიათ მხოლოდ 2 ებრაელი. აქაურ ებრაელებმა დეპუტაცია გაგზავნეს თფილისში სკოლების მზრუნველთან, რომელთანაც უნდა იშუამდგომლონ დარჩენილ ებრაელ მოსწავლეების მიღების შესახებ. როგორც ამბობენ, აქ, ახლო მომავალში მთავრობის ნებართვით, კერძო პროგიმნაზია გაიხსნება. სასწავლებელში ორივე სქესის მოსწავლეები ისწავლიან.

— ადგილობრივი გაზეთების უქონლობა ისედაც მიძინებულ ბათუმს სიცოცხლის ელფერს უკარგავს. ადგილობრივი გაზეთის გახსნება-გამოცემაზე თითქოს არავინ ფიქრობს. ამ გარემოებას ძლიერ ხელს უწყობს სტამბების უქონლობა. იბეჭდება ტელეგრამები მხოლოდ და ისიც ხანდახან.

— ბათუმის წვიმებმა ლამის დაგვახრჩოს. ერთ კვირაზე მეტია, რაც უთვლელ დღე-ღამე გამუდმებული წვიმდა. ქუჩები წვიმის დროს ნიაღვრით ივსება, ისე რომ, ხშირათ ერთი ქუჩიდან მეორეზე გადარება სჭირს. აჭარიდან და სხვა სოფლებიდან ჩამოსულებიც ემდურიან სოფლათ წვიმიან ამინდებს. ყანებს და ვენახებს წვიმები დიდ ვნებას აძლევს. როგორც ამბობენ, მოსავალს წელს საზოგადოთ ნაკლები პირი უჩანს. ხოლერის მხრივ ჯერ-ჯერობით აქ საშიში არაფერია.

— ამ კვირაში განახლდება ბათუმში ყოველ-დღიური გაზეთის „Черноморскій Вѣстникъ“-ის გამოცემა.

## მუშათა შორის

**ზუგდიდი.** ამას წინათ ზუგდიდში ამოირჩიეს სამ-სამი რწმუნებული ადებმა და ნოქრებმა და მაზრის სამმართველოში იქონიეს თათბირი კვირა უქმე დღეებში დუქნების დაკეტვის შესახებ. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც კვირა-უქმე დღეებში ყველა დუქნები იკეტება, გარდა მეპურეთა და სასმელ-საჭმელებისა. ეს ორივე მხრიდან მიღებული რეზოლიუცია წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს; ელოდენ პასუხს, მაგრამ რეზოლიუციის დამტკიცების მაგივრათ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ განაცხადა შემდეგი: ფართლის, ბაკალეის, და წვრილმეულის მაღაზიები კვირა-უქმე დღეებში გაიღება და ივაჭრებს 12 საათიდან 5 საათამდე; მხოლოდ ყველა ხელოსანთა დუქნები მთელი დღით დაკეტილი უნდა იქნესო. ამნაირათ შეიცვალა ორივე მხრისაგან ერთ ხმათ მიღებული დადგენილება.

საჭირთა ხაზეინებმა კარგათ იციდენ, რომ თუ ორივე მხარეთა დადგენილება რაიმე ხრიკებით სისრულეში არ იქნება მოყვანილი, ესე იგი—ყველა სავაჭროები კვირაობით არ იქნება დაკეტილი, იძულებული გახდებით დადგენილება შეძლების და გვარათ დაიცვათ და ცხოვრებაში გაატაროთ.

ნოქართა რწმუნებული.

**დ. ახალ-სენაკი.** 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ დ. ახალ-სენაკში ნოქრებმა დააარსეს პროფესიონალური კავშირი.

მარა გავიდა ხანი და რეაქციის გამარჯვებით ისარგებლეს ზოგიერთ ხაზეინებმა, რომლებმაც ძალით მიიმხრეს დანარჩენებიც და მოპოვებული უფლებები წაგვართვეს.

წარსული წლის ოქტომბერში მოვითხოვეთ წართმეული უფლებების აღდგენა. ხაზეინებმა გამართეს კრება. კრებაზე უმრავლესობა დაადგა მორიგების გზას და ის იყო უნდა დაეკმაყოფილებინათ ჩვენი მოთხოვნილებები, მაგრამ პოლიციის ჩარევით საქმე დაიფუშა. დააპატიმრეს ის ხაზეინები, რომლებიც დაუყოვნებლივ ითხოვდენ ნოქრების დაკმაყოფილებას. ამრიგათ, კავშირი დაიშალა.

ნოქარი.

**ფოთი.** როგორც ვიცით ბ. ნიკოლაძის ინიციატივით ქ. ფოთში შენდება „ელევატორი“. მისი მოწყობა-აშენება აღებული აქვს გორდოვის ზავოდს. მუშაობა წარმოებს ინჟინერი ვენსანის ხელმძღვანელობით; თითქმის ორი წელია შენდება და მას დამთავრებას, არ იქნა, ბოლო არ მოეცა. შარშან ზაფხულზე ერთი აშენებული ნაწილი დაიშალა. ამის გამო ინჟინერი დაითხოვეს. მის მოადგილეთ დაინიშნა ვენსანი. ამან სამუშაოზე პირდაპირ რკინის კანონები გაამეფა.

14 თებერვალს წინდაწინ გაუფრთხილებლათ დაითხოვა ტაბელშჩიკი შალვა სამსონაძე. სამსონაძემ დათხოვნის მიზეზი მოსთხოვა. ვენსანმა უპასუხა: „მე შენთვის საქმე აღარა მაქვს, შენს მოვალეობას ჩემი მანტიორიც კარგათ შეასრულებს“-ო. სამსონაძემ მოსთხოვა ერთი თვის ჯამაგირი. ინჟინერი ძლიერ გაწყრა ამნაირი საქციელისათვის. ნაშუადღევს „ელევატორზე“ მოვიდა გოროდოვოი და ხსენებული ტაბელშჩიკი წაიყვანა პოლიციაში. იქ სამსონაძეს ურჩიეს თურმე „ანგარიში მიიღე, თორემ დაგკარგვენ“-ო. სამსონაძის პოლიციაში წაყვანის გამო გულმოსულმა მუშებმა პროტესტი განაცხადეს, აიღეს სამუშაოზე ხელი და მოითხოვეს მუშის უკან დაბრუნება. წაქეზებულმა ინჟინერმა ყური არ ათხოვა მუშების პროტესტს. მეორე დღეს მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი:

1. ცხრა საათის სამუშაო დღე (ამ ვადაში უნდა შედიოდეს „ინსტრუმენტებით“ ჩაბარების დრო, რომელსაც უნდება 15 წუთი).
2. ათი წუთის დაგვიანებისთვის ვერ უნდა დაითხოვონ მუშა.
3. კვირა უქმე დღეების წინ სამუშაო უნდა თავდებოდეს ერთი საათით ადრე.
4. სამუშაო ქირის მომატება: კატოლშჩიკებსა და მეჩქლებს ორ მანეთამდის; მოლოტობოიცებსა და სლესრებს 1 მ. 60 კ.; ნაკრევალშჩიკებს 1 მ. 10 კ.; დურგლებს 20 პროც.-ით; შავ-მუშებს 1 მ. 30 კ.; ტაბელშჩიკს და ინსტრუმენტალშჩიკს 25 პრ.-ით;
5. ავათმყოფობის დროს ექიმობა და ნახევარი ხელფასის ძლევა ორი თვის განმავლობაში.
6. უნდა მიეცეს თითოეულ მუშას თვეურათ 40 კაპ. აბანოსთვის.
7. სასმელი წყალი უსათუოდ მოხარშული უნდა იყოს.
8. სამუშაოზე უნდა იქნეს დაკიდული კედლის საათი.
9. მუშების მიღება-დათხოვა თვითონ მუშების საქმე უნდა იყოს.
10. კვირა უქმე დღეებში დასვენება.
11. მუშის პიროვნების პატივისცემა.
12. ავდარში მუშებს უნდა ეძლეოდეს ნახევარი ქირა.
13. მიღებულ უნდა იქნას თავის ადგილზე ტაბელშჩიკი და არავინ დაითხოვონ გაფიცვისთვის.
14. მუშების დაზღვევა.

პირველათ ამ მოთხოვნილების მიღება ინჟინერს სულაც არ უნდოდა, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო დაეთმო და მოთხოვნილების განსახილველათ მოითხოვა ერთი კვირის ვადა. ამ წერილის საგნის ნათელ მოსაფენათ საჭიროთ გავითვალისწინოთ ის ნიადაგი, რომელზედაც წარმოებდა გაფიცვა. ელევატორის მოსაწყობათ მუშაობენ 50 სხვა და სხვა ეროვნების მუშები. ამათ რიცხვში შედის 10 თუ 12 თვითონ გარდოვის ქარხნის მუშები (მოხელეები), რომელნიც რუსეთიდან მოიყვანეს. ასეთი ჭრელი შედგენილობის გამო მუშებს ერთი მეორის არ ესმოდათ და მათი კავშირიც ძლიერ სუსტი იყო. ასე რომ გაფიცვას ნიადაგი არც კი ქონდა მომზადებული; მაგრამ პირობები ისე მოეწყვნენ, რომ უსათუოდ უნდა მომხდარიყო ის. მოულოდნელი იყო მუშებისთვის ტაბელშჩიკის დათხოვა. ამ გარემოებამ ძლიერ აადელვა ყველა მუშები; მათ ერთხმათ გამოაცხადეს პროტესტი და მოითხოვეს გაფიცვა. შეგნებულმა მუშებმა ისარგებლეს ამით და მოთხოვნილებაც წარუდგინეს. ინჟინერმა კარგათ იცოდა რამდენათ სუსტი იყო გაფიცულთა სოლიდარობა. მან მოიწვია ზავოდის მუშები და დაემუქრა: „თუ ხვალვე არ დაიწყებთ მუშაობას დაუყოვნებლივ დაგითხოვთ ყველასო“. ამას ზედ დაერთო ზოგიერთი მუშების ღალატი. გაჩნდენ „ამხანაგი“ ჯაშუშები; მათი წყალობით გაფიცულთა ძალა დაიქსაქსა. ზავოდის მუშები შეშინდნენ და გაფიცვის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ ისევ დაუბრუნდენ სამუშაოს; ამათ მიემხრო სამი სხვა მუშა: ბონდარი (რუსი), ხასანი და ტოფიკი (ორივე თათრები). ერთი დღის შემდეგ ამათ კიდევ მიემატა რამდენიმე და დაუბრუნდნენ სამუშაოს სულ 16-17 კაცი. დანარჩენებმა კი განაგრძეს გაფიცვა. მეორე დღეს, როგორც ქალაქის რწმუნებული, მოლაპარაკებაში ჩაერია ქალაქის [illegible] კი. მოახდინა რამდენიმე კრება გაფიცულთა წარმომადგენლებთან ერთათ შეიმუშავეს შემდეგი წესდება:

1) ელევატორზე მუშაობა გრძელდება 9 საათს, ამ ვადაში შედის ინსტრუმენტების ჩაბარებაც.

2) დაგვიანება სამუშაოზე არ შეიძლება თუ მოხდება ის 10 წუთს არ უნდა გადასცილდეს და ხშირათ არ განმეორდეს.

3) კვირა უქმე დღეების წინ მუშაობა თავდება ერთი საათით ადრე. და თუ საქმის გაგრძელება აუცილებელია, მუშაობა მაინც უნდა შეწყდეს 15 წუთით წინ.

4) თუ სამუშაოზე მუშა ავათ გახდება, მას ეძლევა წამალი, ექიმების დახმარება, ნახევარი ქირა და ენახება ადგილი, იმ შემთხვევაში, თუ ის ავათმყოფობის მოწმობას წარმოადგენს (მოწმობა ქალაქის ექიმიდან უნდა იყოს).

5) თითოეულ მუშას კვირაში ერთხელ უფასოთ ეძლევა აბანოს. ბილეთი

6) სამუშაოზე, დასვენების დროს, მზათ უნდა იქნეს ცხელი წყალი ჩაისთვის.

7) სამუშაო დრო მოწესრიგებულია საათობით.

8) თუ სამუშაო მოითხოვს მუშა ხელის შემცირებას, მაშინ თვითონ მუშებმა უნდა იყარონ კენჭი ურთიერთ შორის.

9) კვირა უქმე დღეებში სამუშაო არ სწარმოებს; შეიძლება მორიგეობით.

10) დასახიჩრებული მუშები ღებულობენ ექიმების დახმარებას, თუ საჭირო იქნება იგზავნებიან საავათმყოფოში და იღებენ შესაფერ ჯილდოს (вознагражденіе), აგრეთვე ენახებათ ნახევარი ქირა ავათმყოფობის დროს.

11) თითოეულ ხუთმეტი დღის შემდეგ, ელევატორის მუშები ხელს აწერენ გორდოვის სააკრაშო წიგნში, რომ მათ მიიღეს სრული ანგარიში*).

ამას გარდა ტაბელშჩიკს მისცეს 15 დღის ანგარიში, მაგრამ მიღებით კი არ მიიღეს უკან. მეათე დღეს გაფიცვა აიხსნა. ამას გარდა, თუმცა ინჟ. ვენსანმა პირობა დადვა არავის დავითხოვო, მაგრამ სამი დღის შემდეგ მაინც დაითხოვა 4 საუკეთესო მუშა. ამს მუშები აბრალებენ მუშა დავიდოვს და ბონდარს.

ფოთელი ბზიკი.

*) ეს წესდება ხელ-მოწერილია წარმომადგენლებისგან და ინახება უპრავაში ინჟ. ფრიკთან. ფ. ბ.

## რუსეთის ამბები

**საარჩევნო კამპანია.** კიევის სასულიერო კონსისტორიის ბლაღოჩინებისათვის მოწერილობა დაუგზავნია—დაუყოვნებლივ შეუდგენ მღვდლების სიეზდების გამართვას საარჩევნო კითხვების შესახებ. ბლაღოჩინებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ კონსისტორიას, რომელმა მღვდლებმა არ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.

— პოლიციის დეპარტამენტს განკარგულება მოუხდენია, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებანი **შრომის ჯგუფის** საოლქო სიეზდებისა, რომლებიც ამ მოკლე ხანში გაიმართება და შეეხება უმთავრესათ დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

— მინსკის ეპისკოპოზს მიხეილს შარშანდლურათ მოწერილობა გაუგზავნია ეპარქიაში, რომლითაც წინადადებას აძლევს მღვდლებს ხელი შეუწყონ ჭეშმარიტ რუსების დეპუტატების არჩევას. ცირკულიარში ეპისკოპოზი ამბობს, რომ ის ახლა ოფიციალურათ მეთაურობს რუსთა საარჩევნო კომიტეტს. მღვდლები იძულებული გამხდარან შეადგინათ კომიტეტების სამაზრო განყოფილებანი. განყოფილებათა წევრებათ შეიქნენ მღვდლები, ჩინოვნიკები და სოფლის წურბელები, თუ რა ხალხი შედის ამ კომიტეტებში, იქიდან ჩანს, რომ სადელეგატო სიეზდზე დაესწრნენ მარტო ასეთი მღვდლები, რომლებმაც დაადგინეს, რომ საარჩევნო კამპანიაში სასტიკი ბრძოლა გაუწიონ არა-რუსებს.

— ციმბირში უკვე დაიწყო დუმის არჩევნები. ტომსკის გუბ. ტოსკაევში, იმის მიუხედავათ, რომ ყრილობაზე ურიადნიკი დაესწრო, რომელიც წარა-მარა აიწროებდა ამომრჩევლებს, **არჩეულ იქნენ მხოლოდ პროგრესიული რწმუნებულები**—ორივე მემარცხენე. კონსერვატიული გლეხებიც ცდილობდენ გაეყვანათ თავი-

სთან. საზოგადოთ, თანამედროვე საზოგადოების განვითარება იქითკენაა მიმართული, რომ კომუნალურ მართვა-გამგეობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც შეიძლება მეტი სამოქმედო ასპარეზი დაუთმოს. ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუციები მის ხელში გადავიდეს, ვინაიდან კომუნალურ თვით-მართველობის ხელში ყველა საზოგადო დაწესებულება უფრო ადვილათ აღწევს თავის სოციალ-პოლიტიკურ დანიშნულებას, ვიდრე რომელიმე სხვაგვარი მართვა-გამგეობის ხელში. შრომის ბირჟის ინსტიტუციაც, როგორც საზოგადო დაწესებულება, უფრო ადვილათ აღწევს თავის მიზანს, როცა იგი კომუნალურ თვით-მართველობის ინსტიტუციასთან არის შეკავშირებული.

უფრო საინტერესო კითხვაა, კაპიტალისტთა კლასი და მუშათა ორგანიზაციები როგორ უყურებენ კომუნალურათ მოწყობილ შრომის ბირჟას. ბურჟუაზიულ და მუშათა პარტიების მონაწილეობის მიღება კომუნალურ შრომის ბირჟაში საზოგადოთ დამოკიდებულია ამ ორი რიგის პარტიების ძალთა განწყობილებაზე. თეორიულათ დამტკიცებულია, რომ კარგათ მოწყობილი კომუნალური შრომის ბირჟა, თავის ლოკალურ და ინტერლოკალურ განყოფილებებით დიდ წინმსვლელობას ნიშნავს, დიდი პრაქტიკული შედეგი მოსდევს, მიუხედავათ იმისა, შრომის ბირჟის მართვა-გამგეობა პირველის ხელშია თუ მეორის. ამის გამო მუშათა ორგანიზაციები კომუნალურათ მოწყობილ შრომის ბირჟის ხელში ჩაგდებას დიდ ენერგიას ახმარებენ.

ფრანკფურტის სოციალურ კონგრესზე ლეგიენმა, როგორც პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელმა, კომუნალურ შრომის ბირჟების შესახებ შემდეგი განაცხადა: „თუმცა პროფესიონალური კავშირები იმ აზრის არიან, რომ შრომის ბირჟის ინსტიტუცია მათ ეკუთნის და მარტო თითონ კავშირები უნდა განაგებდენ მათ, მაგრამ ყველგან, სადაც პროფესიონალური შრომის ბირჟა სუსტი და მოუწყობელია, ან და სრულებით არ არსებობს, კომუნალური შრომის ბირჟის დაარსებას პროფესიონალური კავშირები ძალიან სიმპატიურათ უყურებენ. ეს გარემოება აიძულებს კაპიტალისტთა კლასს ენერგიული მონაწილეობა მიიღოს დასახელებულ ბირჟების ხელში ჩაგდებისათვის, მეოთხმოცე წლებში ბურჟუაზიულმა კლასმა ამ გზაზე დიდი ნაბიჯიც გადადგა; იგი დღემუდამ ცდილობს ამ გზაზე თავის უფლების გაფართოებას, თავის გავლენის გაძლიერებას, მუშათა კლასზე თავისი კონტროლის დასაწესებლათ. კაპიტალისტების შეხედულობით შრომის ბირჟის დანიშნულებაა—თუ მუშები, რომლებიც რაიმე ცუდი ყოფაქცევის გამო ალაგს დაჰკარგავენ, აღარსად მიღებული აღარ იქნენ, რომ ამ საშუალებით დაშლილ და დასუსტებულ იქნენ მუშათა ორგანიზაციები. ამ გზით ცდილობენ კაპიტალისტები დაიმორჩილონ თანამედროვე პროლეტარული მოძრაობა. მაგ. გერმანიის ლითონების მწარმოებელმა კავშირებმა სავალდებულოთ გახადეს, რომ კავშირის წევრებს თავიანთი წარმოებისთვის საჭირო ხელი კავშირის შრომის ბირჟის ბიუროდან გამოეწერათ. კაპიტალისტთა კავშირის შრომის ბირჟას ბიურო კი მუდამ სხვადასხვა საშუალებით ერეკებიან და არ აძლევენ „რევოლიუციონერ“ მუშებს სამუშაოს, არ აძლევენ მათ საჭირო ცნობებს შრომის ბაზრიდან და სხვა... ასეთი კავშირების შეკვრას ცდილობს ყველგან კაპიტალისტთა კლასი, ყველგან აწყობს ასეთ ორგანიზაციებს, რათა ბირჟის დიადი მნიშვნელობა მუშათა კლასისთვის ერთობ შეასუსტოს.

რასაკვირველია, პროფესიონალური კავშირები კაპიტალისტების ამგვარ მოქმედებას გულ-გრილათ არ უყურებენ. ბერლინის პროფესიონალურ კავშირთა კონგრესზე 1896 წელს რეზოლიუცია გამოიტანეს, სადაც ხაზ-გასმით ნათქვამია, რომ შრომის ბირჟას ინსტიტუცია მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალურ კავშირების ხელში უნდა იყოს.

ბერლინის პროფესიონალურ კავშირების დადგენილებას ბევრი სხვადასხვა პროფესიონალური კავშირები მიემხრენ.

რა მნიშვნელობა აქვს, რომ შრომის ბირჟის ინსტიტუცია პროფესიონალურ კავშირების ხელში იყოს, ამაზე დაწვრილებითი შემდეგ წერილში.

ანთი კაცები, მაგრამ მათი დავამოდებას მიუხედავათ, გამარჯვება პროგრესისტებს დარჩათ.

**ქვა პურის მაგივრათ.** სმოლენსკის გუბერნიის როსლავის მაზრაში გლეხები თურმე უცნაურ პურს ჭამენ, შეხედავით ეს პური მთლათ მიწას ან ნახშირს მოგაგონებს და მხოლოდ დაყნოსვით თუ შეატყობ, რომ ეს რაღაც საჭმელი უნდა იყოს. თუმცა მთავრობის განცხადებით სმოლენსკის გუბერნიაში მოუსავლობა არ არის, მაგრამ მაინც და მაინც იქ მთელი სოფლები ის კი არა და მთელი ვოლოსტებია თურმე, სადაც პურის მაგივრათ ქვას ჭამენ.

**„ბატონი“ და შკოლა.** ხარკოვის გუბ. ახტირის მაზრაში სოფლის ყრილობამ გადაწყვიტა—ეთხოვოს ახტირის საერობო გამგეობას შკოლა გაგვიხსნასო. ამაზე უფრო გასახარი აბა რაღა იქნება! მაგრამ აი მობრძანდა ბატონი, დაიბარა მამასახლისი.

— რამდენი ბავშვი გეყოლებათ აქ სკოლაში მისაცემი!

— ორმოცდაათიო, უპასუხებს მამასახლისი.

ვერა, თქვენ შკოლას ვერ გაგიხსნით, ნამეტანი ცოტა ბავშვები გყოლიათ; სამოცდახუთმეტამდე უნდა იყოსო. და წაბრძანდა.

**„კნიაზ“ დეპუტატის გაჩხრეკა.** მინსკის გუბერნიის მემამულეს პირველ დუმის დეპუტატთ ნამყოფს თავად დრუცკოი—ლუბეცკოის ჟანდარმთა აფიცერი, ბოქაული და სტრაჟნიკების რაზმი ეწვიენ მამულში და მთელი სახლკარმიდამო გადააბრუნეს, ძალიან დაწვრილებით გაჩხრიკეს. რამ გამოიწვია ეს ამბავი, არავინ იცის. ხსენებული „კნიაზი“ თავისი რწმენით „წმინდა წყლის“ პომეშჩიკია.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ტრედ უნიონთა კონგრესი. 2 სექტემბერს ბაშში გაიხსნა მე-41 კონგრესი ტრედ-უნიონებისა. კონგრესზე წარმოდგენილი არიან 1,700 ათასი შეკავშირებული მუშები. 500 დელეგატთა შორის არის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საპარლამენტო ჯგუფის 34 წევრი და ტრედ-უნიონთა პარლამენტის წარმომადგენლები. საპარლამენტო კომიტეტის მიერ წაკითხულ ანგარიშიდან ჩანს, რომ ლიბერალურ მთავრობის მიერ დაპირებული თვალსაჩინო რეფორმები მუშათა კანონმდებლობაში ჯერ კიდევ განუხორციელებელია, ამიტომ კომიტეტი მოითხოვს მუშათა კლასის წარმომადგენელთაგან ყოველი ღონისძიება იხმარონ პარლამენტში გაიყვანონ უცელადზე უწინ კანონი მოხუცებულ მუშათათვის პენსიის შესახებ, დაკანონება რვა საათის სამუშაო დღისა მთა-მადნის მუშათათვის, უმუშევართა შესახებ კითხვის გადაწყვეტა და სხ... კონგრესზე თვით ჩინა ბჭედმა დავამ „ძველ“ ტრედ-უნიონისტთა და მათ საპარლამენტო წარმომადგენელთა და სოციალისტურ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას შორის. პირველნი, რომელნიც წარმოადგენენ მხოლოდ ლიბერალურ პარტიის ნაწილს, წინააღმდეგნი არიან მუშათა წარმომადგენლების განცალკევებულ პოლიტიკის, მაშინ როდესაც დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მომხრენი ყოველ კითხვას განიხილავენ სოციალისტურ თვალთახედვის წერტილიდან და მკაცრათ ცალკევდებიან ლიბერალებისაგან. პარშანდელმა კონგრესმა დაავალა საპარლამენტო კომიტეტს ყოველი ღონე ეხმარა და მთელი მუშათა წარმომადგენლობა ერთ ფრაქციათ შეერთებია, მაგრამ კომიტეტის მეცადინეობა ფუჭში გამოდგა. ტრედ-უნიონისტთა საპარლამენტო ჯგუფის მეთხებით, რომელმაც უარი განაცხადა ისეთ დეპუტატებთან მუშაობაზე, რომლებიც მუშები არ არიან და არც რომელიმე ტრედ-უნიონთან არ მსახურობენ. მათი მოთხოვნის თანახმათ, შეერთებულ მუშათა ფრაქციიდან უნდა გამორიცხული ყოფილიყვნენ სოციალდემოკრატები კურრენტი და გრეიზენი. რა თქმა უნდა, სოციალისტურ პრინციპების აღმსარებელმა, დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ, უარყო ასეთი პირობებით შეერთება და გამოჩენილმა სოციალისტებმა, როგორც, მაგ., დეპუტატმა მაკდონალდმა მკაცრათ გაილაშქრეს არა მარტო ტრედ-უნიონისტთა ფრაქციის წინააღმდეგ, არამედ კონგრესის წინააღმდეგაც, როგორც დრომოჭმულ და ზედ-მეტ ინსტიტუტისა. მაკდონალდის პირით, პროფ. კავშირების ფედერაცია უნდა იცავდეს და წარმოადგენდეს მხოლოდ ეკონომიურ ინტერესებს მუშებისას, ხოლო პოლიტიკურ ინტერესებს კი უნდა იცავდეს მუშათა დამოუკიდებელი და გაერთიანებული წარმომადგენლობა პარლამენტში, და პოლიტიკურ საქმეებში ტრედ უნიონი საპარლამენტო ფრაქციის კონტროლს უნდა ემორჩილებოდეს. ამავე თვალთა-ხედვის წერტილზე დადგა ძლიერი მექანიკთა კავშირი, რომელიც შეიცავს 109 ათას წევრს. მან განაცხადა კონგრესზე დელეგატებს აღარ გამოვგზავნით და გადავალთ დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში, თუ კავშირები და კონგრესი პოლიტიკის წარმოებას განაგრძობენ, მუშათა პარტიის კონტროლის გარეშეო. მექანიკების მუქარამ გასჭრა და კონგრესმა დაადგინა დაევალოს კომიტეტს ხელმეორეთ სცადოს საპარლამენტო წარმომადგენლობის გაერთიანება ერთ ფრაქციათ.—კონგრესმა მკვახე რეზოლიუცია მიიღო იმ შტრეიკბრეხერების დასაგმობათ, რომლებმაც ანტვერპენის და ჰამბურგის გაფიცულ მუშათა ადგილი დაიჭირეს, და დაადგინა მოეთხოვოს პარლამენტს დანიშნოს კომისია ბელფასტში მომხდარ არეულობის მიზეზების გამოსაკვლევათო. კონგრესზე მკაცრათ გაკიცხეს სამხედრო მინისტრი გალდანი იმისათვის, რომ მან ჯარისა და ფლოტისათვის საჭირო საგნების დამზადება საზღვარ-გარეთ შეუკვეთა, რითაც მან ინგლისის მუშებს ფულის შოვნის საშუალება წაართვა. გაკიცხეს აგრეთვე მუშა დეპუტატი ჯონ-ბერნსი უმუშევარ მუშათა შესახებ მისი მოქმედების გამო. დელეგატთა ერთმა ნაწილმა მარჯვეთ დაიცვა ბერნსი და ამ ყოფილ მეთაურს უსწავლელ მუშებისას და დოკერთა შესანიშნავ გაფიცვისას თავიდან ააშორეს გაკიცხვის რეზოლიუცია. ლორდთა პალატის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი გაუქმება; 14 წინააღმდეგ საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღებას და მოითხოვა მოქალაქეთათვის სამხედრო წვრთნის შემოღება.—კონგრესმა საჭიროთ სცნო ზედმეტი მუშაობის კანონმდებლობითი მოწესრიგება, შრომის ყველა დარგში სამუშაო დღის შემოკლება და მიწის ნაციონალიზაცია.

### პასუხათ ვარლამ დოლიძეს

წავიკითხე წერილი ვ. დოლიძისა, რომლითაც ის იწვევს თფილ. საქ. სადგურის მუშებს სამედიატორო სამართალში. სანამ, მთავარ საგანს შევეხებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს საქმის ნამდვილი მდგომარეობა, რითაც დარწმუნდება თუ რამდენათ ვალდებულია აღნიშნული მუშები ეწვიოს მას სამედიატორო სამართალში. აი საქმე რაშია: მკითხველებს ეხსომებათ, ამ ექვსი თვის წინათ თფ. საქ. სად. მუშებსა და ყოფილ რიადჩიკ ასამბაძე-კვარტიას შორის მოხდა უთანხმოება, ორი თვის ჯამაგირის მიუღებლობის გამო მუშების მიერ და სხვა მიზეზებისა; მუშების სამართლიან მოთხოვნილებას ამ უკანასკნელებმა 63 ყარაულის დათხოვნით გასცეს პასუხი, და, მათ მაგიერათ მოიწვიეს 30 შეი რაღაც უცნობი ლეკები; რასაკვირველია ამ ეგომა საქციელმა მუშების მხრივ გაფიცვა გამოიწვია, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მუშებისვე გამარჯვებით დამთავრდა; ხოლო რაიცა შეეხება მუშების დაკმაყოფილებას (ორ ორი თვის ჯამაგირის მიცემა) იკისრა რკინის ადმინისტრაციამ, რიადჩიკების ხალხის თანხიდან, მოხსნა შეიარაღებული ლეკებიც, გამოაცხადეს რიადჩიკებიც გაკოტრებულათ, სადგური გადასცეს ადგილობრივ მუშებს, სრულ მათ გამგეობაში. ეს იყო მარტის ოც რიცხვებში; ყოფილ რიადჩიკებთან ერთათ ალაგიუნდ დაეკარგათ, ყოფილ უპრავლიაუშჩიკ, ტაბელშჩიკ-პრიკაშჩიკებსაც, რადგან ეს უკანასკნელნიც მიღებულნი იყვნენ ყოფილი რიადჩიკების მიერ, და ცხადია, მუშების 250-იან შტატში არ შედიოდა, როგორც ეს ადგილობრივ მუშებს აქვს უკვე მოგებული, რადგან ეს უკანასკნელნი იყვნენ ნამდვილი რიადჩიკების დამცველნი და არა მუშების, ამიტომ არც მათი მიღება მუშებს დიდათ არ ეპიტნავებოდათ და არც შედიოდა მათ კომპეტენციაში... როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს აგრეთვე არც ვ. დოლიძის მიღება ევალებოდათ მუშებს; შემდეგ ასეთი ცვლილებისა რკინის გზის ადმინისტრაციამ მოითხოვა მუშების შტატიდან არჩეულნი პირნი, რომლებიც პასუხის მგებელნი უნდა ყოფილიყვნენ მათ წინაშე. ცხადია, რომ როგორც ვ. დოლიძე აგრეთვე მისი ამხანაგებიც რიადჩიკებთან ერთათ დაითხოვა თვით რკინის გზის ადმინისტრაციამ და არა სადგურის მუშებმა, თუმცა ბ. დოლიძე წინააღმდეგს ამბობს. რაც შეეხება იმას, რომ „მე ბრალს მდებდნენ და მედიატორებმა გამამართლაო ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: როგორც ზევით აღვნიშნეთ, აღნიშნული მუშები ყოველივე ამ განხეთქილებაში, ბრალს სდებდნენ, როგორც რიადჩიკებს, აგრეთვე უპრავლიაუშჩ-პრიკაშჩიკ-ტაბელჩიკებსაც; ბრალდება ბევრნაირი იყო: ლეკების მოყვანა, მუშების ლლატი და სხვა., რასაკვირველია ასეთი ბრალდებიდან ვერც ცარლამი იქნებოდა თავისუფალი. რამდენიმე ხნის შემდეგ სადგურის მუშებმა აირჩიეს სარიადჩიკო კაცი ივ. ცინცაძე და წარუდგინეს რკინის გზის ადმინისტრაციას დასამტკიცებლათ; უკანასკნელმა ის მიიღო რწმუნებულათ: სადგური ვალდებულებისამებრ გადაეცა რიადჩიკ ცინცაძეს, რის შემდეგაც ცხადია მასაც დასჭირდა თავის საკუთარი, როგორც უპრავლიაუშჩი ისე ტაბელშჩიკიც და სხვ. რასაკვირველია ეს იმ აღნიშნულ შტატს გარეთ; ყველა ესენი მიიღო ცინცაძემ ახლებიდა და სხვათა შორის, ვ. დოლიძეც. ზემოთ აღნიშნული ბრალდებები უმეტესათ მას ედებოდა ე. ი. ვ. დ. რაც არა სასურველი იყო შეგნებული მუშებისთვის, და მოითხოვდნენ თავი ემართლებია მუშების წინაშე ბრალდებაში.

შემდეგ ამისა წინადადება მიეცა ცინცაძეს, გამართლების შემდეგ თუ მიიღებდა საწინააღმდეგო ჩვენ არა გვქონდა-რა ამაზე. ვ. დ. თანახმა იყო და ცინცაძეც. აღნიშნული პირის გასამართლებლათ არჩეულ იქნა მედიატორები, ბრალდებულის, და სადგ. მუშების მხრივ. მედიატორების ხანგრძლივ მსჯელობას, შემდეგათ მოყვა, ავათ იყო თუ კარგათ, ვ. დოლიძის გამართლება, ხოლო ეჭვები კი ეჭვეათ დარჩა, მედიატორებისვე სიტყვით, მედიატორებისვე სიტყვით, მედიატორების რეზოლიუცია იქნა დასმული ადგილობრივ „იაჩეიკაში“, რამაც ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია ვ. დ. დამცველთა და მოწინააღმდეგეთა შორის. კრება ვერავითარ გარკვეულ დასკვნამდე ვერ მივიდა და არევ-დარევით და დაშლით დაბოლოვდა. ამის შემდეგ გადატანილ იქნა ადგილობრივ დელეგატების კრებაში, სადაც ასეთი რეზოლიუცია იქნა მიღებული, „რადგანაც ვ. დ. გამართლებულია ჩვენს წინაშე ბრალდებიდან, ამის შემდეგ საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა და წინადადებაც მიეცა რიად. ცინცაძეს რომ მიეღო ვ. დ. მაგრამ მიუხედავათ ამისა ის მიღებული არ იქნა, თუ რა მიზეზის გამო, ეს ჩვენ არ ვიცით. ვ. დ. ხელმეორეთ მიმართა მუშებს: „თქვენი დათხოვნილი ვარ და მიმიღეთო“. უყურადღებოთ არც მეორეჯერ დასტოვეს, უკანასკნელი, პ. კრების რეზოლიუცია ასეთი იყო, „რადგანაც ვ. დ. გამართლებულია იმ ბრალდებიდან, რომელიც მასზე იყო მიმართული, და ცინცაძეც არ იყო წინააღმდეგი გამართლების შემდეგ მისი მიღებისა, წინადადება ეძლეოდა ვ. დ., რომ გაეწვია სამედიატორო სამართალში რიადჩიკი ცინცაძე და არა სადგურის მუშები. ერთხელ და სამუდამოთ კიდევ მოვაგონებთ ბ-ნ დოლიძეს რომ ასეც მოიქცეს, სანამ დის ცინცაძეს მის მაგიერი კაცი არ დაუქერია, თორემ მუშებთან არა აქვს საქმე. მუშების ინტერესები მოითხოვდა ბრალდებიდან თავის მართლებას, და რაც შეეხება პრიკაშჩიკის დაქირავებას ცინცაძის უფლებაა და არა მუშებისა.

ბიუროს მინდობილობით მუშა ცინცაძე.

### ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

**პარვუსი: „კოლონიალური პოლიტიკა და საერთო დაღუპვა“.**

წიგნაკი შეიცავს 155 გვერდს, ღირს 1 მარკა.

სულ რამდენიმე ხანია, რაც გერმანულ ენაზე გამოვიდა პარვუსის ზევით დასახელებული წიგნაკი. პირველათ ამ წიგნაკის პირველი ნაწილი გერმანიის სოციალდემოკრატიის სამეცნიერო ორგანოში დაიბეჭდა, მას აგიტაციური დანიშნულება ქონდა გერმანიის რეიხსტაგის 1907 წ. არჩევნებისთვის. ავტორი არჩევნების შემდეგ იძულებული გახდა გერმანიის პოლიტიკურ ურთიერთობისთვის დაწვრილებითი ანალიზი გაეკეთებია. იგი ასეც მოიქცა: თავის ზევით დასახელებული წერილები გააფართოვა და მერე საკუთარ წიგნაკათ გამოსცა. აქ უპირველეს ყოვლისა პარვუსი არკვევს გერმანიის პოლიტიკურ პარტიების სოციალურ ძალთა განწყობილებას, განმარტავს მათ სხვა და სხვა გვარ პოზიციებს სახელმწიფო პოლიტიკაში. შემდეგ იგი დაწვრილებით აგვიწერს, რომ კოლონიალურ და საბაჟო პოლიტიკის შეერთება, უკვე უარყოფილია თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების წესის მიერ, მას ხანგრძლივათ არსებობას შეუძლებლათ ხდის აწ არსებული საწარმოვო ძალთა განვითარება. ნათლათ და მშვენიერ მაგალითებით არის დამტკიცებული, რომ ბაჟები, ეს დაუძინებელი მტერია ევროპიულ კაპიტალიზმისთვის, რომ ევროპის ეკონომიურ (საწარმოვო) ტერიტორიის პატარ-პატარა (წვრილწვრილ) საბაჟო რაიონებათ ანუ სამეფოებათ დანაწილება ერთობ აძრიელებს და უპირატესობას აძლევს ჩრდილოეთ ამერიკის კონკურენციას. პროლეტარიატის თავისუფალ ვაჭრობის პოლიტიკა კი, წინააღმდეგ, ძრიელ ხელს უწყობს თანამედროვე საწარმოვო ძალთა განვითარებას, ხელს უწყობს კაპიტალისტურ წარმოების წესს, რასაც შედეგათ მოყვება პროლეტარიატის სამუდამო გამარჯვება.

ეს მოსაზრებანი მით უფრო საგულისხმოა, რომ კაპიტალისტთა კლასის და მათ მიერ მოვლენილი მთავრობის პოლიტიკა ამაგრებს და აღონიერებს პროლეტარიატს—მის პოლიტიკას, ქმნის ისეთ პირობა-ურთიერთობას, რომელიც ხელს უწყობს საწარმოვო ძალთა განსაზოგადოებრიობას. მთავრობის და კაპიტალისტების ასეთი შეხედულება სოციალურ პოლიტიკაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გონივრულათაა გაკრიტიკებული პარვუსის წიგნაკში. თითონ პარვუსი, მთავრობის და კაპიტალისტების ამგვარ შეხედულებას შესაფერათ ახასიათებს, როცა იგი მასხარათ იგდებს თანამედროვე ვულგარ მარქსისტების ადეპტებს, რომლებსაც მარქსის ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდიდან „ისტორიული ფატალიზმი“ გამოყავთ; ამასთან ივიწყებენ ვულგარ მარქსისტები, შენიშნავს ავტორი, რომ მარქსის ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდმა უარყო და გააბათილა ისტორიული ფატალიზმი, რომ მარქსის ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდმა, ის ყალბი ბურჟუაზიული მსოფლშეხედულობა, რომელიც ჯიუტათ ამტკიცებს, ვითომ და კაპიტალისტური წარმოების წესი, კაპიტალითა მთავრობის ზომა-საშვალებები შეუცდომელ-შეურყეველია, ვითომდა არსებული საწარმოვო ძალთა განვითარება ერთგვარი decoctum historia, მსოფლ ისტორიის უკანასკნელი დასკვნაა. (გვ. 80).

განსაკუთრებული ყურადღება იმით მიიპყრო პარვუსის წიგნაკმა, რომ ბროშურაში დიდებულათ არის გარკვეული კაპიტალისტურ კოლონიალ პოლიტიკის მთავარი მოძრავი ძალები, აგრეთვე დაწვრილებით მოთხრობილია გერმანიის ახალი საკოლონიო პოლიტიკა, მთელი თავის სისაძაგლით. სრული ჭეშმარიტებაა, როცა პარვუსი ამბობს, რომ დღევანდელ კაპიტალის დანიშნულება არაა, როგორც ეს პირეულყოფილ კაპიტალისა, კოლონიები იშოვოს—დაიპყროს სიმდიდრე ამოსწოვოს, რომ შემდეგში ევროპაში კაპიტალათ აქციოს, არამედ სულ წინააღმდეგ; ზედ-მეტათ გაზდილი სიმდიდრე და ევროპის კაპიტალის სიჭარბე აიძულებს კოლონიები იშოვოს, ამ მოჭარბებულ კაპიტალის ჩასაყრელათ. წარმოების ნაყოფიერებისთვის—სარგებლიანობისთვის კი ზრუნავს სახელმწიფო, რომელიც, რაც დრო გადის, იმდენათ ინდუსტრიულ კარტელების და ბანკების საშუალებით ერთ კაპიტალისტურ სამებათ აერთებს. ბურჟუაზიულ მთავრობის კოლონიალურ და დამცველ ბაჟების პოლიტიკის ზედ-გავლენას მუშათა კლასზე იკვლევს პარვუსი და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ კოლონიები ტეხნიკის დაქვეითებას და გამუდმებითი სამუშაო ხელფასის დაწევას ნიშნავს.

დასასრულ, პარვუსი გერმანიის ეკონომიურ განვითარებას ანალიზს უკეთებს და ორიგინალურ და ამასთანავე სამართლიან დასკვნას აკეთებს; იგი ამბობს: უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გერმანიის ლიბერალიზმის „გაძლიერება“ ნაყოფია მაღალ ქალაქებში განვითარებულ ინდუსტრიისა, შედეგია გერმანიის კაპიტალისტურ წარმოების უმაღლეს განვითარებისა. უკანასკნელ (1907 წ.) რეიხსტაგის არჩევნებით,—ამთავრებს პარვუსი თავის გამოკვლევას, ყველა პოლიტიკური ნაგროვები დაიშალდაინგრა. გერმანიის ბურჟუაზიულ მთავრობის კაპიტალისტური კოლონიალური პოლიტიკა მედგრათ დაექანა თავის განვითარების გზაზე და მალე დაეჯახება სოციალურ რევოლიუციას.

ეს წიგნაკი საუცხოვო თეორიული გამოკვლევაა თანამედროვე გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების. საჭიროა, ბროშიურის შინაარსი დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველებს, ვეცდებით ახლო მომავალში დაპირება შევასრულოთ.

**შვარცი.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

4 სექტემბერი.

**არჩევნები**

**მოსკოვი.** 2 სექტემბერს, მოსკოვის, ბოგოროდსკის, ბრონნიცკის, ზვენიგოროდსკის, კოლომენსკის, მოჟაისკის, პოდოლსკის, რუზსკის და სერპუხოვის მაზრებში აირჩიეს 224 რწმუნებული სოფლის ყრილობათაგან. მათ შორის 2 „ჭეშმარიტი რუსია“, 29 თავის თავს მონარქისტს უწოდებს, 52 მემარჯვენეს. 170 ზომიერს, 35 მემარცხენეს, ხოლო 4 კაცი უკიდურეს მემარცხენეს. იმავე მაზრებში მოხდა 2 სექტემბერს მუშათა რწმუნებულების არჩევნები. აირჩიეს სულ 133 რწმუნებული. ამთგან ერთი ჭეშმარიტი რუსია. 23 სოციალდემოკრატი; ხუთი თავის თავს მონარქისტს უწოდებს, 4 მემარჯვენეს, 74 ზომიერს, 25 მემარცხენეს და ერთი უკიდურესი მემარცხნე.

**რიგა.** 3 სექტ. ტყეში ვალკის მახლობლათ დაიჭირეს 16 კაცის კრება. ორმა მათგანმა სროლა აუტეხა სალდათებს. დაიჭირეს ერთი მათგანი რომელსაც აღმოაჩნდა მაუზერი და ს. რევ. საკვიტანციო წიგნაკი.

**სევასტოპოლი.** საზღვაო სამხედრო სასამართლოში დაიწყო ჯავშნიან გემ „როსტისლავისა“ და „შანტელეიმონის“ მატროსთა საქმის გარჩევა. მატროსებს ბრალი ედებათ საიდუმლო საზოგადოების შედგენაში, რომელსაც აზრად ქონდა მთავრობის პირთა ამოჟლეტა და თანამედროვე წესწყობილების დამხობა.

**მოგილევი.** თავის ბინაზე მოკლეს როგაჩევის მაზრის საერობო უფროსი რომანოვი.

**ვილნო.** საჩაიეში, ნიჟ.-გოროდის ქუჩაზე, მოკლეს ბუხრების მწმენდელი და დასჭრეს ორი სხვა მუშა. მკვლელები დაიჭირეს.

**ჩერნიგოვი.** მძიმეთ დასჭრეს გოროდოვოი. მკვლელი დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა წესები იმ გადასახადთა შესახებ, რომელიც უნდა გადახდეს მგზავრებს სადგურის ბაქანზე გასასვლელათ ნაცნობთა გასაცილებლათ.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ათას-ათასი მანეთით დააჯარიმა „სვობოდნია მისლ.“ და „პეტერბურგსკია ვედომოსტის“ რედაქტორები. თუ აღნიშნული თანხა არ აღმოაჩნდებათ, ჯარიმა 1 ნახევარ თვის ციხეში ჯდომით შეეცვლებათ.

**ტულა.** დაიწვა თეატრი „ერმიტაჟი“.

**ჩერნიგოვი.** დაბა დოსილოვკაში დაიწვა 42 მოსახლე.

**ზინკოვი.** სოფელ მესკულოვკაში დაიწვა 10 მოსახლე. ზარალი 29000 მანეთს აღემატება.

**ოდესა.** გენერალ-გუბერნატორმა ორორი თვით დააპატიმრა 5 წევრი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა“, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ქუჩებში სროლის დროს.

**მოსკოვი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ სამეურნეო ინსტიტუტის ხაზინადრის მძარცველთაგან ორს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ორს კატორგა, ხოლო ვექილი ჟდანოვი გაამართლა.

**ზალცბურგი.** მთა-მადნის მუშათა კონგრესმა მიიღო ხუთ სახელმწიფოთა დელეგატების მიერ წარდგენილი წინადადება, რომელიც ამბობს, რომ მაღაროებში და მადნებში მუშაობა 8 საათის სამუშაო დღე. ამასთანავე ისეთ მაღაროებში, სადაც ზედმეტი სიცხეა, სინოტივე ან სხვა არა-ნორმალური პირობები, მაშინ სამუშაო დრო ექვს საათამდე და ზოგჯერ უფრო მეტათაც უნდა შემოვიდესო.

რედაქტორ-გამომცემელი **ს. ჩხარტიშვილისა.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „ხორაპანი“ მადათოვის კუნძული, სახლი შუხრახსკის № 1.